


შპს „სისტემ ინშაათ“
2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს სისტემ ინშაათ
დირექტორი
ბტ. ერქან ოზმენ



შპს „სისტემ ინშაათ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2024-ის თარიღისთვის

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა	2024	2023	2022
	ხაზგარტყმითი პერიოდის ბოლო თარიღი	წინა ხაზგარტყმითი პერიოდის ბოლო თარიღი	წინა ხაზგარტყმითი პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	934,461	415,997	1,147,528
სავაჭრო მოთხოვნები	1,845,103	2,933,398	4,416,085
გადახდილი ავანსები და დარღვევისა და შეზღუდვის საფრთხის ქვეშა მარაგები	5,139,883	5,419,877	13,818,790
- მზა პროდუქცია	5,139,883	5,419,877	13,815,092
- სხვა			3,697
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	5,020	5,020	5,906
ძირითადი საშუალებები	8 148,873	162,460	179,523
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	16,630,569	16,630,569	16,630,569
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	24,703,910	25,567,321	36,198,401
	7,919,447	8,769,272	19,382,402
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	9 443,751	640,082	142,594
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	19,573		
სავადასახადო ვალდებულებები	59,996		
გამოუმტკიცებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესიო ვალდებულებები	15,864,668	13,062,790	31,072,752
გრძელვადიანი სასესიო ვალდებულებები	12,897,823	15,016,868	70,778,222
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	10 16,469	16,469	158,028
სულ ვალდებულებები	29,285,811	28,736,208	102,151,596
	16,387,988	13,702,871	31,215,346
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (მას-ს შემთხვევაში "კაპიტალი", კოორპერაციის შემთხვევაში საპაიო კაპიტალი)			
საგებისო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(4,581,901)	(20,831,873)	(65,956,893)
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები		17,662,987	
სულ საკუთარი კაპიტალი	(4,581,901)	(3,168,886)	(65,956,893)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	24,703,910	25,567,321	36,198,401

შპს სისტემ ინშაათ
დირექტორი
ბტ. ერქან ოზმენ

შპს „დასახელება“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2024 - 31.12.2024 პერიოდისთვის

ფორმა N2 - საქმიანობის შედეგები		2024	2023
		ხაანგარიშგებო პერიოდი	წინა ხაანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	3	2,780,766	11,264,095
საქონლის გაყიდვიდან		2,390,189	11,264,095
მომსახურების გაწევიდან		390,577	-
სამშენებლო ხელშეკრულებიდან			
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(614,517)	(3,071,033)
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადაბუნების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
ხაერეთო მოგება		2,166,249	8,193,062
სხვა შემოსავალი		714	374,564
დასაქმებულთა ანაზღაურება		(950,724)	(1,199,296)
ცვეთი და ამორტიზაცია	5	(46,007)	(40,815)
საპროექტო შემოსავალი:			
საპროექტო ხარჯი :		(1,295,640)	(2,324,086)
ოჯარის ხარჯი	6		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(175,315)	(1,921,205)
ხელ საოპერაციო ხარჯები		(2,466,972)	(5,110,838)
საოპერაციო მოგება		(300,723)	3,082,224
გაუფასურების (ხარჯი) / რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსავლობა / (დანაკარგი) საჯალუტო ოპერაციებიდან:	7	(1,112,399)	3,274,947
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)			
მოგება/(ხარჯი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(1,413,122)	6,357,170
მოგების გადასახადი			
მოგება/(ხარჯი)		(1,413,122)	6,357,170
ხბვა სრული შემოსავალი / (ხარჯი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, მილოოჯიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
ხბვა სრული შემოსავალი / (ხარჯი), ხელ:			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ხარჯი)		(1,413,122)	6,357,170
		ხაანგარიშგებო პერიოდი	წინა ხაანგარიშგებო პერიოდი
კაპიტალი საწყისი წაშთი (პერიოდის საწყისი წაშთი)		(3,168,886)	(65,956,893)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ევლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(1,413,122)	6,357,170
კაპიტალის სხვა ევლილებები		107	56,430,835
კაპიტალი ხაანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		(4,581,901)	(3,168,886)

შპს სისტემ ინშაათ
დირექტორი
ბტ. ერქან ოზმენ

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2024 - 31.12.2024 პერიოდისთვის
შპს „სისტემ ინშაათ“

	2024	2023
	ხაზგარიშგება პერიოდი	წინა ხაზგარიშგება პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(161,594)	16,732,560
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	13,586	17,950
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	666,473	(17,482,042)
წმინდა ზრდა (კლება) ფულა და ფულის ეკვივალენტებში	518,465	(731,532)
საგალოტო კონსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	415,996	1,147,528
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	934,461	415,996

შპს სისტემ ინშაათ
დირექტორი
ბ.ტ. ერქან ოზმენ



შპს „სისტემ ინშაათ“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სისტემ ინშაათ“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 19/12/2011). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.ბათუმი, შოთა რუსთაველის ქ.14

კომპანიის დირექტორი: - ერქან ოზმენ.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.


სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება

შპს სისტემ ინშაათ
დირექტორი
ბტ. ერქან ოზმენ



დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით

გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შპს სისტემ ინშაუტ
დირექტორი
ბტ. ერქან ოზმენ



იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები,

რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

4.

	2024
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	614 517 ლარი

შპს სისტემ ინშაათ
დირექტორი
ბტ. ერქან ოზმენ



რეალიზებული საქონლის თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

5.

	2024
ცვეთა და ამორტიზაცია	46 007 ლარი

ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია მიმდინარეობს წრფივი მეთოდით.

6.

	2024
იჯარის ხარჯი	0

იჯარის ხარჯი აღიარდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში.

7.

	2024
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-1112399

სხვაობა სავალუტე ანგარიშების გადაფასების მოგებასა და ზარალს შორის.

8.

	2024	2023
ძირითადი საშუალებები	148873	162459

ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები შემცირებული დაგროვილი ცვეთით და ნაჩვენებია საბალანსე ღირებულებით.

9.

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	443751	640082

სავაჭრო ვალდებულებები წარმოშობილია ადგილობრივი შესყიდვებიდან და აკუმულირდება არარეზიდენტის მიერ მოწოდებული მომსახურების ან/და საქონლის შეძენისგან.

9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია

2025 წლის 23 ოქტომბერს.

შპს სისტემ ინშაათ
დირექტორი
ბ.ტ. ერქან ოზმენ

